რომელი საათია?

ქალაქი	დრო	ქალაქი	დრო
ლონდონი	0:00	რიო დე ჟანეირო	-1:00
ფრანკფურტი	+1:00	ჰალიფა	-4:00
რომი	+1:00	ნიუ-იორკი	-5:00
ათენი	+2:00	ჩიკაგო	-6:00
სტამბული	+2:00	მექსიკო	-6:00
მოსკოვი	+3:00	დენვერი	-7:00
თბილისი	+4:00	სან-ფრანცისკო	-8:00
ბეიჯინგი	+8:00	ანქორიჯი	-9:00
ტოკიო	+9:00	ჰონოლულუ	-10:00

დედამიწაზე, სადაც არ უნდა ვცხოვრობდეთ, შუადღე ყოველთვის დღის 12:00-ზე დგება; ეს ის დროა, როდესაც ჩვენი მზე ცამრგვალზე ყველაზე მაღალ წერტილში - *ზედა კულმინაციაში* იმყოფება. თუმცა, პლანეტა დედამიწა იმდენად დიდია, რომ როდესაც თბილისში 12:00 საათია, იმავდროულად ტოკიოში 17:00 საათი დგება, ხოლო სინგაპურში 22:00.

როდესაც ასტრონომები ციური მოვლენების დროს განსაზღვრავენ, ისინი სარგებლობენ *გრინვიჩის საშუალო დროით* Greenwich Mean Time (GMT), ანუ იმ დროით, რომელსაც უჩვენებს ინგლისში, დედამიწის *ნულოვან მერიდიანზე* განთავსებული ქალაქის - გრინვიჩის საათი.

თუ გვინდა გრინვიჩის საშუალო დრო - GMT ჩვენს დროს შევუსაბამოთ, მაშინ მას საათები უნდა მივუმატოთ ან გამოვაკლოთ. ზემოთ მოყვანილი ტაბულა გვიჩვენებს, თუ რამდენი საათი უნდა მივუმატოთ გრინვიჩის დროს, თუ ნულოვანი მერიდიანისაგან აღმოსავლეთით გადავინაცვლებთ; და რამდენი საათი უნდა გამოვაკლოთ, თუ ამ მერიდიანიდან დასავლეთით გავემგზავრებით.

მაგალითად: ნიუ-იორკი გრინვიჩის მერიდიანიდან <u>დასავლეთით</u> განთავსდება, ამიტომ მისი ადგილობრივი დრო გრინვიჩის დროზე 5 საათით უფრო <u>წინ</u> არის, ანუ 12:47 GMT ნიუ იორკის ადგილობრივი დროით, დილის 07:47 იქნება. თუ გრინვიჩიდან <u>აღმოსავლეთით</u> მდებარე ტოკიოში ვიმყოფებით, სადაც ადგილობრივი დრო გრინვიჩის საშუალო დროს 9 საათით <u>ჩამორჩება</u>, მაშინ 12:47 GMT ტოკიოს ადგილობრივი დროით 21:47 იქნება.



ამოცანა: 2006 წლის 13 დეკემბერს. 02:34 GMT დროით, მზეზე მძლავრი ამოფრქვევა მოხდა, რაც მზის ხელოვნურმა თანამგზავრმა "ჰინოდმა" (Hinode) დააფიქსირა (სურათი მარცხნივ). ექვსმა ასტრონომმა ამოფრქვევის მომენტის სანახავად მზეზე დაკვირვება გადაწყვიტა. ერთი მათგანი ტოკიოში ცხოვრობდა, სხვები ათენში, ფრანკფურტში, დენვერში, ჰონოლულუსა და ბეიჯინგში.

რომელ საათზე მოხდა მზეზე ამოფრქვევა თითოეული ასტრონომისათვის ადგილობრივი დროით? რომელი მათგანი ვერ მოახერხებდა ამოფრქვევის მომენტში მზეზე დაკვირვებას?

პასუხი

გამოიყენეთ ცხრილი და მიუმატეთ ან გამოაკელით საათები თითოეული ქალაქის ადგილობრივ დროს. 02:34 GMT-თვის მიიღებთ:

ქალაქი	საათები	ადგილობრივი დრო	
ტოკიო	+9:00	11:34	13 დეკემბერი
ათენი	+2:00	04:34	13 დეკემბერი
ფრანკფურტი	+1:00	03:34	13 დეკემბერი
დენვერი	-7:00	19:34	12 დეკემბერი
ჰონოლულუ	-10:00	16:34	12 დეკემბერი
ბეიჯინგი	+8:00	10:34	13 დეკემბერი

მხოლოდ ტოკიოში, ჰონოლულუსა და ბეიჯინგში მყოფი ასტრონომები შეძლებდნენ მზეზე ამოფრქვევის მომენტის დაფიქსირებას, ვინაიდან ამ ქალაქებში მზე ამ დროს ჰორიზონტზე მაღლა მდებარეობდა. რაც შეეხება ათენს, ფრანკფურტს და დენვერს, ამ ქალაქებში ამოფრქვევის დროს ღამე იყო და მზე ჰორიზონტზე დაბლა იმყოფებოდა.

ეს ფოტო გადაიღო მზის თანამგზავრმა SOHO, და ის 2006 წლის 13 დეკემბერს მზეზე მომხდარ მძლავრ ამოფრქვევას გვიჩვენებს.